

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №

აბე

ქ.თბილისი

25.01.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

1. კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;
3. ნინო მოწინიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;
4. რუსუდან ტყემელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
5. ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;
6. დავით კახიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი;
7. ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
8. რევაზ ხოფერია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
9. დავით მახვილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის პროცესის მართვის სამმართველოს კოორდინატორი;
10. ბექა ძამაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის პროცესის მართვის სამმართველოს კონსულტანტი;
11. ნათია ვაჭარაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესის მართვის სამმართველოს უფროსი;

12. თამარ ლორთქიფანიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესის მართვის სამმართველოს კოორდინატორი;
13. ლალი შაიშველაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს უფროსი;
14. ქეთევან ფანჭულიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
15. კონსტანტინე ჩოკორაია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტი;
16. სალომე ფრუიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს კოორდინატორი;
17. რუსუდან გოგიბერიძე - შპს - კავკასიის ბიზნეს სკოლის დირექტორი;
18. მელორ მშვიდლობაძე - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დეკანი;
19. კახა შენგელია - შპს - კავკასიის ბიზნეს სკოლის დამფუძნებელი;
20. ნანული წერეთელი - ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართმადიდებლური სკოლის დირექტორი;
21. გიორგი წერეთელი - ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართმადიდებლური სკოლის მოძღვარი;
22. იამზე მარუაშვილი - ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართმადიდებლური სკოლის სასწავლო ნაწილი;
23. ალექსანდრე ჯიბლაძე - შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
24. თენგიზ მაღლაკელიძე - შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის განათლების ხარისხის განვითარებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
25. შოთა ბაკრაძე - შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის საფინანსო-სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელი;
26. ბექან ხიმშიაშვილი - შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის იურისტი;
27. გიორგი ნიკოლაძე - შპს - პროფიუნტის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
28. ეკატერინე მაისურაძე - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
29. ქ. მანჯაფარაშვილი - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერი;
30. ჯონ იპენი - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომელი;

31. ხათუნა კალაძე - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი;
32. ზაზა ბერიშვილი - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი;
33. ლიკა გიორგაძე - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი;
34. ნინო ფეტვიაშვილი - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
35. მარიამ დარბაიძე - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
36. მარინა გედევანიშვილი - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
37. ნელი ნასყიდაშვილი - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
38. თეა შაყულაშვილი - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
39. ლელა ქელბაქიანი - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
40. დავით ბოსტოლანაშვილი - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
41. თინათინ კუბლაშვილი - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
42. ეკატერინე ბალიშვილი - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
43. მია ხურცილავა - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
44. მანანა ალადაშვილი;
45. დავით ლოლუა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - კავკასიის ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - „წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - პროფიუნიტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგი ერთხმად მიღებულია წარმოდგენილი ფორმით.

1. შპს - კავკასიის ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს რევაზ ხოფერიას სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით მოხსენების გაკეთება. რევაზ ხოფერიამ დამსწრე პირებს გააცნო, რომ შპს - კავკასიის ბიზნეს სკოლამ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, 2010 წლის 4 ნოემბერს მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით და თანდართული დოკუმენტაციით (წერილი №85, ცენტრში რეგისტრაციის №03-4324). კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების შევსებული კითხვარი, შპს - კავკასიის ბიზნეს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მომწესრიგებელი დოკუმენტები (წესდება, შინაგანაწესი) და ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ცენტრის მიერ 2010 წლის 8 ნოემბერს №04-4472 წერილით დადგინდა ხარვეზი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან საავტორიზაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის შეუსაბამობის გამო. 2010 წლის 11 ნოემბერს ცენტრში შემოსული წერილისა (ცენტრში რეგისტრაციის №03-4472) და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად, დადგენილი ხარვეზი გამოსწორდა დაწესებულების მიერ.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 15 ნოემბრის №19/ა ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად და მისი ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორცილდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (ჯგუფის წევრები: თეა შაყულაშვილი, ნელი ნასყიდაშვილი, ლალი შაიშმელაშვილი), შემოწმდა ავტორიზაციის მაძიებლის პირობების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, ლალი შაიშმელაშვილმა, დეტალურად გააცნო საბჭოს წევრებს დასკვნაში აღნიშნული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელზეც არსებობდა შენიშვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ოქმში სრულად ასახვის მიზნით ითხოვა სხდომის მდივნისათვის გადაეცათ ექსპერტთა დასკვნის ასლი.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.“

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

1.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმა კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ დატვირთვას აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში; განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას ქართულ ენაში, მათემატიკასა და უცხო ენაში, რაც გამოიხატება საათობრივი დატვირთვის გაზრდაში. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან.

1.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას შემდეგ დისციპლინებში: ცეკვა, ჭადრაკი, ლოგიკა, რელიგიის ისტორია, თურქული ენა და საადმინისტრაციო მომსახურებას, რაც გულისხმობს შემდეგს: თითოეულ კლასს ჰყავს მზრუნველი. მისი სამუშაო დრო განისაზღვრება ყოველდღე დილის 9 საათიდან 17 საათამდე და იგი ითავსებს ყველა იმ ფუნქციას, რასაც ეროვნული სასწავლო გეგმა უწესებს კლასის დამრიგებელს, იმ განსხვავებით, რომ მზრუნველი არ ასწავლის მისი მზრუნველების ქვეშ მყოფ კლასს.

1.1.3 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შეფასების პრინციპებში განსაზღვრულია ის აუცილებელი მინიმუმი, რომელიც მოსწავლემ უნდა დაძლიოს კლასიდან კლასში გადასასვლელად.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.“

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, საგნობრივი სასწავლო პროგრამები დაწერილია სილაბუსის ერთგვაროვანი ფორმით, რომლის განხილვისას ჩანს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობა შემდეგ საგნობრივ პროგრამებში: ქართული ენა, ინგლისური ენა, ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმცოდნეობა და იმავდროულად არის ნაკლოვანებები. მაგალითად; დაწყებითი კლასების და მათემატიკის სასწავლო პროგრამები საჭიროებს დახვეწას, შეუსაბამობაა პროგრამის სტრუქტურასთან, ცნებების გააზრებასთან და ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან. აღრეულია შეფასების ტიპები და კრიტერიუმები.

ზეპირ მოსმენაზე გამოიკვეთა, რომ შეუსაბამობები ვლინდებოდა მხოლოდ მეორე სემესტრის საგნებთან მიმართებით და მიმდინარეობდა ამ საკითხების დახვეწა მეორე სემესტრის დაწყებამდე. სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს მეორე სემესტრის სილაბუსები არსებობდა, რომლებიც საჭიროებდა კორექტირებას. დაწესებულების წარმომადგენელმა ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად საბჭოს წევრებს სთხოვა შეესწავლათ არსებული სილაბუსები.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ რადგან სილაბუსები ვიზიტის დროს არსებობდა, დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას მიუხედავად იმისა, რომ ისინი კორექტირებას საჭიროებდნენ. დაწესებულების სილაბუსებში არსებული ხარვეზები უმნიშვნელოა. შესაბამისად, დაუშვებელია ავტორიზაციის საბჭომ უმნიშვნელო ხარვეზების საფუძველზე მიიღოს ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.“

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას ამჟამად არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (შემდგომში სსსმ) მქონე მოსწავლე. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებული პროგრამის ფორმა.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლაში გამოიყენება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების ორი ტიპი: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. პირველ-მეოთხე კლასებში მოსწავლეები არ ფასდებიან ქულებით, მეხუთე-მეთორმეტე კლასებში დანერგილია შეფასების ათქულიანი სისტემა. კათედრებს შემუშავებული აქვთ მოსწავლეთა საგნობრივი კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმები და მათი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ზეპირ მოსმენაზე ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სხდომაზე გამოიკვია, რომ სავალდებულო არ არის მიმდინარე შეფასების გაკეთება, სავალდებულოა მხოლოდ სემესტრული შეფასების გაკეთება.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით.“

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების ინფორმირების წესი სხვადასხვა ხერხები, მაგალითად, მშობლებთან პირადი შეხვედრები, მშობელთა კრებები, შეტყობინებების გაგზავნა ელექტრონული ფორმით, მოსწავლის დღიურებში, რვეულებში ჩანაწერების გაკეთება /გაგზავნა .

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.“

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, სასკოლო დოკუმენტაციის წარმოების სრულყოფას, მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციებში მონაწილეობას, საქალაქო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, კათედრებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების სტრატეგიების შემუშავებას.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 250 კვ.მ ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ა.ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით;

ა.გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი.”

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქუჩა № 67-ში ზოგადსაგანმანათლებლო სტატუსის მამიებელი შპს „კავკასიის ბიზნეს სკოლა“, შპს „სინათლის“ საკუთრებაში არსებულ 980 კვ.მ.ადმინისტრაციულ შენობაში, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 800 კვ.მ-ს. სკოლა განთავსებულია 3 სართულიან, კაპიტალურ, დაცულ შენობაში. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლირდება სათვალთვალო კამერებით. დაწესებულებას ჰყავს დაცვა.

ამჟამად შპს კავკასიის ბიზნეს სკოლა გეგმავს აუქციონის წესით შეიძინოს ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ. №60-ში მდებარე ყოფილი "სანაოსნოს შენობა", რისთვისაც ჩატარებული აქვს მოსამზადებელი სამუშაოები

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	გრიბოდოვის ქუჩა # 67	798 კვ.მ

1.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, საკლასო ოთახები, განთავსებულია შენობის სამივე სართულზე და აღჭურვილია ხარისხიანი განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით. მერხები, სკამები, დაფები არის ახალი, თანამედროვე მსუბუქი და კომფორტული. მოსწავლეებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია კომპიუტერები (10 ცალი) და ინტერნეტი.

1.1.3 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი. სკოლას შეძენილი აქვს მაგიდის ტენისისა და ტანვარჯიშისთვის საჭირო ინვენტარი.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ როგორც უძრავი ქონების, ისე სხვა მატერიალური ბაზის ფლობის პრობლემა დაწესებულების წინაშე არ დგას, შესაბამისად დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.“

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას ელექტროენერჯია მიეწოდება უწყვეტად, ყველა საკლასო ოთახი ნათდება ბუნებრივად, ქვს ხელოვნური განათებაც, გათბობა უზრუნველყოფილია

ელექტროგამათბობლებით. სველი წერტილები განთავსებულია 2 სართულზე, გამოჯნულია და აკმაყოფილებს ჰიგიენურ ნორმებს.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით.“

3.1 ავტორიზაციის ექსპერტა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტა დასკვნის მიხედვით, ბიბლიოთეკა ამ ეტაპზე არ პასუხობს თანამედროვე სკოლის მოთხოვნებს. ბიბლიოთეკის ფართი მცირეა, თუმცა, ამჟამად ხდება მისი გაფართოვება საკლასო ოთახის ხარჯზე. ბიბლიოთეკარი მუშობს საზოგადოებრივ საწყისებზე, მიმდინარეობს წიგნადი ფონდის, პერიოდიკისა და დამხმარე მასალის დამუშავება და კატალოგიზაცია საბიბლიოთეკო პრინციპით.

მოსწავლეები საჭირო მასალას მეტწილად მოიძიებენ ინტერნეტით, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომია სკოლაში, ასევე სარგებლობენ ქალაქის ბიბლიოთეკებით.

ზეპირ მოსმენაზე გამოირკვა, რომ ბიბლიოთეკა იყო დამუშავების პროცესში. ბიბლიოთეკა არ იყო სისტემატიზებული, თუმცა სკოლის მოსწავლეებს არ ჰქონიათ ბიბლიოთეკით სარგებლობის პრობლემა, რამდენადაც დამატებით დაწესებულების მიერ ქალაქის ბიბლიოთეკასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიდან გამომდინარე სკოლის მოსწავლეები სარგებლობდნენ ქალაქის ბიბლიოთეკით, რომელიც სკოლის შენობის გვერდით მდებარეობს. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ახალი პერიოდიკის მიწოდებას სკოლაში.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ რადგან ექსპერტებმა დაადასტურეს ბიბლიოთეკაში წიგნების არსებობის ფაქტი და მოსწავლეთა ინტერვიურებით ირკვეოდა, რომ მოსწავლეები ამ ბიბლიოთეკით რეალურად

სარგებლობდნენ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, მიუხედავად იმისა, რომ ის სისტემატიზებული სრულად არ იყო.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლის შესასვლელში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის გაკეთებულია პანდუსი, მათთვის საკლასო ოთახები გამოყოფილია პირველ სართულზე.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.“

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

5.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში მითითებული ვებ გვერდები. cbs-batumi. ge და cbs -edu.ge არ იძებნება, სკოლის დირექტორის განმარტებით, ორივე დომეინის მოქმედება დროებით შეჩერებულია და გააქტიურდება ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში.

ზეპირ მოსმენაზე ავტორიზაციის ექსპერტმა, თეა შაყულაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე ვებგვერდი ამუშავდა, თუმცა ის ვერ ასრულებდა საინფორმაციო ფუნქციას.

სხდომაზე გადამოწმდა ვებგვერდი და დადგინდა, რომ ვებგვერდი არ ფუნქციონირებდა. დაწესებულების დამფუძნებელმა, კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ ეს იყო დროებითი შეფერხება. სკოლის ვებგვერდი მიმზღული იყო შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სწორედ ამ უკანასკნელს ჰქონდა პრობლემები, რომელიც დროებით ხასიათს წარმოადგენდა.

5.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას 10 კომპიუტერი შეძენილი აქვს აქციის - "კომპიუტერი დღეში 1 ლარად" ფარგლებში, ამ რაოდენობის ტექნიკის განვადებით შეძენა შპს-ს სახელზე ვერ მოხერხდა, (საქმიანობის ხანმოკლე პერიოდის გამო), ამიტომ განვადება გაკეთდა პედაგოგებზე, ყოველთვიურად განვადებას ფარავს დირექტორი.

ზეპირ მოსმენაზე გამოირკვა, რომ კომპიუტერები დაწესებულების ბალანსზე არ ირიცხებოდა.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო ვებგვერდთან მიმართებით მიიჩნევს, რომ რადგან ექსპერტთა ვიზიტის დროს ვებგვერდი ჩაირთო და მუშაობდა დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, მიუხედავად იმისა, რომ ვებგვერდზე ინფორმაცია სრულყოფილად არ იყო განთავსებული. კომპიუტერებთან მიმართებით საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტს, რადგან ექსპერტთა განაცხადით მოსწავლეებისათვის კომპიუტერები რეალურად ხელმისაწვდომია და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.”

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში შეძენილი აქვთ საჭირო რაოდენობის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, შენობის სამივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცეცხლმქრობი საშუალებები, გამოკრულია მათი მოხმარების წესები და საევაკუაციო გეგმა. სწრაფი ევაკუაციის საშუალებას იძლევა 3 გასასვლელი. სკოლას ჰყავს სამედიცინო პერსონალი, კერძოდ ექთანი დიეტოლოგი, შეძენილი აქვთ პირველადი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო მედიკამენტები. წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ კომენდანტი, კლასის მზრუნველები. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება კამერებით.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები.“

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შ.პ.ს. „კავკასიის ბიზნეს სკოლის“ წესდება შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, შინაგანაწესით რეგულირდება ადმინისტრაციის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა საქმიანობა, მათი კომპეტენციები და ქცევის წესები.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.“

8.1 ავტორიზაციის ექსპერტა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტა დასკვნის მიხედვით, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს როგორც მოკლევადიანი ისე გრძელვადიანი განვითარების გეგმა. 1 წლიანი გეგმა მოიცავს როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, ისე სწავლისა და სწავლების პროცესის სრულყოფის ღონისძიებათა ნუსხას, რაც შეეხება გრძელვადიან (6 წლიან) გეგმას, ის ძირითადად ორიენტირებულია ახალი სასკოლო ფართის შეძენაზე და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მის აღჭურვაზე, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს მისი განხორციელებას.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.“

9.1 ავტორიზაციის ექსპერტა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში საქმის წარმოება რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმის წარმოების წესის საფუძველზე, რომელშიც მოცემულია ყველა სახის დოკუმენტაციის მიღების გატარების და შენახვის წესები, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის მოწესრიგებულ ბრუნვას, დამუშავებასა და შენახვას. დაწესებულებას აქვს შემოსული და გასული დოკუმენტაციის, ასევე ბრძანებების აღრიცხვის წიგნი.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.“

1.1 ავტორიზაციის ექსპერტა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტა დასკვნის მიხედვით, სკოლას ჰყავს 62 თანამშრომელი. აქედან 6 ადმინისტრაციის თანამშრომელია, 8 - დამხმარე პერსონალი, 4 - კვების ბლოკის თანამშრომელი, 33 პედაგოგი და 11 მზრუნველი.

არსებობს სკოლის მართვის ფუნქციონალური სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლის მართვას ახორციელებს დირექტორი, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობენ პედაგოგიური საბჭო, მშობელთა და მოსწავლეთა სათათბიროები. მართვის ქვედა რგოლია კოორდინატორები სასწავლო და აღმზრდელობით დარგში, ოფისის და ფინანსური მენეჯერები.

სკოლაში მოქმედებს 7 საგნობრივი კათედრა. სააღმზრდელო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი არიან მზრუნველები. კვების ბლოკის გამართულ მუშაობას ემსახურებიან შეფ-მზარეული, მზარეული, დახლიდარი და ექთანი დიეტოლოგი. სკოლას ჰყავს დამხმარე პერსონალი - დამლაგებლები, დარაჯები და მიმდინარე რემონტის მუშა.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.“

2.1 ავტორიზაციის ექსპერტა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტა დასკვნის მიხედვით, სკოლის მასწავლებლების შერჩევას გათვალისწინებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნები.

მასწავლებლებიდან და მზრუნველებიდან ყველას აქვს უმაღლესი განათლება, მათგან 34 აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი, 4 - დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელია. 1 მზრუნველს აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. სკოლაში 5 სერტიფიცირებული მასწავლებელია. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანს ასწავლის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა.“

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა შერჩევის წესები, თუმცა, მასწავლებელთა მიმღებ კომისიას არ გააჩნდა შერჩევის მკაფიო კრიტერიუმები. შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კანდიდატების განათლებასა და კვალიფიკაციას, გამოცდილებას და წინა სამსახურებში მოხვეჭილ ავტორიტეტს.

3.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების წესები. შინაგანაწესის მიხედვით, სკოლის დირექტორს შუძლია დაადგინოს წახალისების ფორმები და პრემიები, გარკვეული პერიოდის მუშაობის მონაცემების მიხედვით. წახალისების ფორმები, შინაგანაწესის მოხედვით, შეიძლება იყოს მადლობის გამოცხადება ან პრემიის გაცემა, მაგრამ, დღემდე დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თანამშრომლები არ არიან ინფორმირებულნი ერთმანეთის პრემირების შესახებ.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. სკოლაში არსებობს თითოეული თანამშრომლის პირადი საქმე, რომელიც მოიცავს თანამშრომლის აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს, მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებას, ავტობიოგრაფიას, სერტიფიკატების ასლებს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს, ფოტოსურათს.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.“

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ერთწლიან სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებზე დასწრება. 2010-2011 სასწავლო წლებში დაგეგმილია ტრენინგები სამოქალაქო ეკონომიკაში, სამოქალაქო განათლებაში, სამართლებრივ კულტურაში და სხვა. სულ დაგეგმილია პროფესიული განვითარების 8 დასახელების ტრენინგი. სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნული ტრენინგების განხორციელება შესაძლებელი გახდება სკოლის მიერ ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.“

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სკოლა სულ 3 თვეა, რაც ფუნქციონირებს, აშკარად შეიმჩნევა კეთილგანწყობის და თანამშრომლობის ატმოსფერო. მოსწავლეები, რომლებიც სხვადასხვა სკოლებიდან გადმოვიდნენ, ამ სკოლაში გადმოსვლის ერთ-ერთ მოტივად ასახელებენ დაცულ და უსაფრთხო გარემოს, კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას მათ მიმართ. სხვადასხვა სკოლებიდან გადმოსულ მოსწავლეებს მკვეთრად განსხვავებული ცოდნის დონე აქვთ. იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ თითოეული მოსწავლის წინსვლას, მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ სპეციალური მიდგომები და მეთოდიკა ამ პრობლემის დასაძლევად. სისტემატიურად დამატებით მუშაობენ მოსწავლეებთან ცოდნაში მათი ხარვეზების შესავსებად.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის ბიზნეს სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების საკითხი და მოსწავლეთარაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 1

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაინტერესებულ მხარეს განუმარტა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ხმა მისცა მან, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მისი შინაგანი რწმენით სასწავლო გეგმები მეორე სემესტრისათვის დაწყებით საფეხურზე ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ იყო შექმნილი. თუმცა, ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა არ გაიზიარეს ეს პოზიცია ვინაიდან დაეყრდნენ დაწესებულების ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული სასწავლო გეგმები დასაკორექტირებელი ფორმით ჰქონდათ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მომენტისათვის.

რაც შეეხება ვებგვერდს, რომელზეც ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის აზრით, არ იყო სტანდარტის ადეკვატური, საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ ვებგვერდი, რომელიც ექსპერტთა შაყულაშვილის მიერ იქნა გადამოწმებული არ იყო Under Construction-ის რეჟიმში. მასზე იყო გარკვეული ინფორმაცია განთავსებული და გამომდინარე იქედან, რომ ახალი სასწავლო დაწესებულებაა ის ინფორმაცია, რომელიც ამ ვებგვერდზე იყო განთავსებული აკმაყოფილებდა სტანდარტს.

ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, ავტორიზაციის საბჭოს წევრები ასევე არ დაეთანხმნენ საბჭოს თავმჯდომარეს და დაეყრდნენ ექსპერტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ თავად ნახა, რომ ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს და ყველაზე გადამწყვეტი იყო ამ შემთხვევაში ექსპერტების მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია, კერძოდ რომ განხორციელდა მოსწავლეთა ინტერვიუება რა დროსაც მოსწავლეებმა დაადასტურეს, რომ ისინი ბიბლიოთეკის სახელმძღვანელოებით სარგებლობდნენ.

ავტორიზაციის საბჭოს წევრები არ დაეთანხმნენ, საბჭოს თავმჯდომარეს, რომელმაც კომპიუტერების ავტორიზაციის მაძიებლის მიერ მართლობითი ფლობა დაუდასტურებლად მიიჩნია, საბჭოს წევრები დაეყრდნენ –ექსპერტების განმარტებას, რომლებმაც განაცხადეს, რომ ინტერვიუების მეთოდით, მოსწავლეების მიერ დადასტურებულია კომპიუტერების სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი.

VI. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მე-2

პუნქტის საფუძველზე, შპს - კავკასიის ბიზნეს სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და განესაზღვროს მოსწავლეთა რაოდენობა 250-ით.

2. ა(ა)იპ - წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს რევაზ ხოფერიას სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით მოხსენების გაკეთება. რევაზ ხოფერიამ დამსწრე პირებს გააცნო, რომ ა(ა)იპ - წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართმადიდებლურმა სკოლამ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, 2010 წლის 3 დეკემბერს მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით და თანდართული დოკუმენტაციით (წერილი №134, ცენტრში რეგისტრაციის №03-5017). კერძოდ, დ აწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების შევსებული კითხვარი, ა(ა)იპ - წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართმადიდებლური სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მომწესრიგებელი დოკუმენტი (შინაგანაწესი) და ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ცენტრის მიერ 2010 წლის 7 დეკემბრის №04-6023 წერილით დადგინდა ხარვეზი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან საავტორიზაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის შეუსაბამობის გამო. 2010 წლის 27 დეკემბერს ცენტრში შემოსული წერილისა (ცენტრში რეგისტრაციის №03-5585) და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად, დადგენილი ხარვეზი გამოსწორდა დაწესებულების მიერ.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 3 იანვრის №02/ა ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად და მისი ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორცილდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (ჯგუფის წევრები: მარინა გედევანიშვილი, ნინო ფეტვიაშვილი, ქეთევან ფანჩულიძე), შემოწმდა ავტორიზაციის მაძიებლის პირობების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, ქეთევან ფანჩულიძემ, დეტალურად გააცნო საბჭოს წევრებს დასკვნაში აღნიშნული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელზეც არსებობდა შენიშვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ოქმში სრულად ასახვის მიზნით ითხოვა სხდომის მდივნისათვის გადაეცათ ექსპერტთა დასკვნის ასლი.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.“

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

1.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში სწავლა დაიწყო 2010 წლის 15 სექტემბერს. 2010 წლის 14 სექტემბერს პედაგოგიურ საბჭოზე დამტკიცებულ იქნა სასკოლო სასწავლო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია საათობრივი ბადე (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად), რომელიც მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს.

1.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სახით საგანთა მთელი რიგი ჩამონათვალი, სადაც მოსწავლეები სურვილის მიხედვით ეწერებიან.

1.1.3 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დამატებით საგანთა ჩამონათვალი (საღვთო სჯული, ხეზე მხატვრული ჭრა, ქარგვა, თექა, ჭრა-კერვა) მითითებულია სკოლის მიერ ადგილზე წარმოდგენილ სასკოლო საათობრივ ბადეში (აღნიშნულია ჩატარების დრო, პედაგოგი). სასურველია, სასკოლო სასწავლო გეგმაში წერილობით იყოს წარმოდგენილი ამ საგანთა სრული სასწავლო გეგმა, რომელიც მიზანშეწონილია მოიცავდეს:

- ა) საგნის შესწავლის მიზნებს (მიზნები წარმოდგენილია მხოლოდ თექის და ქარგვის პროგრამაში);
- ბ) შეფასების პრინციპებს (სასურველია განსაზღვრული იყოს ამ საგნებში სწავლის შედეგი შეფასებული იქნება ნიშნით თუ ჩათვლით);
- გ) საჭირო სასწავლო მასალის ჩამონათვალს (რესურსები წარმოდგენილია მხოლოდ ქარგვის პროგრამაში). სასურველია აქვე იყოს განსაზღვრული დამატებითი საგნის სტატუსი - ფაკულტატიურია თუ სავალდებულო (ეროვნული სასწავლო გეგმა).

1.1.4 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმაში არის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომელსაც სკოლა იყენებს სასწავლო პროცესში. სახელმძღვანელოები შერჩეულია 5 წლის ვადით. სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოები და სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე 2010 წლის 14 სექტემბერს.

1.1.5 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის ხედვა ინკლუზიურ განათლებასთან მიმართებაში, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლეთა (სსსმ) გამოვლენის შემთხვევაში სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას, სპეციალური სწავლების მეთოდისა და შეფასების სისტემის შემუშავებას. ამ ეტაპზე სკოლას სსსმ-მოსწავლე არ ჰყავს.

1.1.6 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი სასკოლო შეფასების სისტემა ზოგადია. მომავალში იგეგმება შემუშავდეს შეფასების კრიტერიუმები და შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, განისაზღვროს საშემოდგომო გამოცდებისა და დამამთავრებელი გამოცდის დანიშვნა-არდანიშვნის საკითხები და ის აუცილებელი მინიმუმი, რომელიც მოსწავლემ უნდა დაძლიოს კლასიდან კლასში გადასასვლელად.

1.1.7 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა ცხრილის სახით, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ის მონაცემი, რაც აუცილებლად უნდა იყოს სადამრიგებლო პროგრამაში. დღეისათვის გაწერილია სამომავლოდ ჩასატარებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი. სასურველია, სამომავლოდ პროგრამაში მითითებული იყოს თემები, მიზნები, აქტივობები, ჩატარების დრო.

1.1.8 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხორციელდება დამატებითი აქტივობები. დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლის სულიერ და ზნეობრივ აღზრდას, ტარდება სახელობო განათლებით გათვალისწინებული გაკვეთილები (ქარგვა, თექა და სხვ). სასურველია ეს იყოს ასახული სკოლის მისიაში.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.“

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში არსებობს საგნობრივი ჯგუფების მასწავლებელთა კათედრები, რომლებიც აერთიანებს საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელს. კათედრებს ჰყავთ ხელმძღვანელები, აქვთ საგნობრივი კათედრის ჟურნალები, სადაც წარმოდგენილია კათედრის სხდომების ოქმები. მიზანშეწონილია გადაწყვეტილება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების შერჩევის თაობაზე დაფიქსირებული იყოს კათედრის ოქმებში.

2.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მასწავლებლებს აქვთ სამუშაო გეგმები, სადაც ჩამოთვლილია თემები და საათობრივი გადანაწილება. ზოგიერთ პროგრამაში მითითებულია მიზნები და შედეგები. სასურველია: დაკონკრეტებული იყოს ის აქტივობები და მეთოდები, რომლებსაც მასწავლებელი იყენებს დასახული მიზნის მისაღწევად; მასწავლებლებს ჰქონდეთ საქალაქო, რომელშიც იქნება ინფორმაცია მისი პროფესიული განვითარების შესახებ; სილაბუსები (საგნობრივი გეგმები); დაგეგმილი გაკვეთილები მოსწავლის ნამუშევრებით; ღონისძიებების ჩამონათვალი გეგმებითა და მიზნებით და სხვა მასალა, რომელიც ასახავს მათ მუშაობას.

2.1.3 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა, დამრიგებელთა სია კლასების მიხედვით და ძირითადი მოვალეობები.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.“

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ვიზიტის დროს სკოლაში წარმოდგენილ იქნა სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. სკოლას ამჟამად არ ჰყავს სსსმ-მოსწავლე, ამიტომ სავარაუდო პროგრამა წარმოდგენილია ცხრილის სახით. სასწავლო სასკოლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში მასწავლებლები იყენებენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ორივე ტიპის შეფასებას (განმსაზღვრელს და განმავითარებელს) და სამ კომპონენტს (საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება). სამომავლოდ იგეგმება შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების შემუშავება კათედრებზე. ეს გამჭვირვალეს გახდის

შეფასების სისტემას და დაეხმარება მოსწავლეს განსაზღვროს, რა მიმართულებით სჭირდება მას მეტი მუშაობა. მასწავლებელს კი ხელს შეუწყობს განსაზღვროს, თუ რამდენად დაშორდა ან მიუახლოვდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას სასურველია, კათედრებმა შეარჩიონ ამ ტიპის შეფასებისათვის საერთო სტრატეგია, გამოიყენონ არა მარტო სიტყვიერი კომენტარი, არამედ დაკვირვების ფურცლები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელსაც და მოსწავლესაც დინამიკაში დაინახონ კონკრეტული ცოდნისა და უნარის ათვისების პროცესი.

ზეპირ მოსმენაზე გამოირკვა, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით.“

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, რომელიც გულისხმობს სკოლასა და ოჯახს შორის ორმხრივი კომუნიკაციის დამყარებას. პროგრამაში ჩამოთვლილია ის აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მშობლის ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლაში დაწესებულია მშობელთა დღე, შექმნილია მშობელთა და მასწავლებელთა გაერთიანება.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.”

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რაც გულისხმობს სასწავლო გეგმის შესრულების პროცესის მონიტორინგს, ხარისხზე ზრუნვას და მის გასაუმჯობესებლად რიგი აქტივობების ჩატარებას.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 250 კვ.მ ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ა.ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით;

ა.გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი.”

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის - საქართველოს საპატრიარქოს სახელით 2009 წლის 19 სექტემბერს დააფუძნა არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირი "წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის პროფესიული სწავლების ცენტრი". 2010 წლის 17 დეკემბერს სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიიღო გადაწყვეტილება "წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის პროფესიული სწავლების ცენტრისათვის" სახელწოდების შეცვლის თაობაზე და სასწავლებელს ეწოდა ა(ა)იპ "წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართმადიდებლური სკოლა".

სკოლა მდებარეობს ქალაქ ჭიათურაში, თორნიკე ერისთავის ქ. N1 - ში. შენობა ჭიათურის მუნიციპალიტეტმა 2009 წლის სექტემბერში გადასცა საქართველოს საპატრიარქოს, ხოლო საპატრიარქომ 2010 წლის მარტში აღნიშნული შენობა უსასყდლო უზურფრუქტით უვადოდ გადასცა ა(ა)იპ "წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის პროფესიული სწავლების ცენტრს", ამჟამად ა(ა)იპ "წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართმადიდებლურ სკოლას".

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ჭიათურა, თორნიკე ერისთავის ქ. N1 (შენობის საერთო ფართი)	1096,90
2	ჭიათურა, თორნიკე ერისთავის ქ. N1 არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	1750

ზეპირ მოსმენაზე, გამოირკვა, რომ ქ. ჭიათურაში, თორნიკე ერისთავის ქ. N1-ში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ექსპერტების მიერ არ ჩათვლილა ავტორიზაციის მიზნებისთვის, რადგან აქ საუბარი იყო მხოლოდ მიწის ნაკვეთზე, რომელიც სასწავლო მიზნებისთვის არ გამოიყენებოდა. ექსპერტების მიერ გათვალისწინებული იქნა შენობა-ნაგებობა, რომელიც აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დგას.

1.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი სათანადო ინვენტარით და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით, კერძოდ ყველა კლასში დგას ინდივიდუალური მერხები და სკამები (150 კომპლექტი), სასკოლო დაფები, კარადები, ტუმბოები და საჭირო თვალსაჩინოებები.

სკოლაში იგეგმება ქიმის კაბინეტის მოწყობა, რომლისთვისაც უკვე შეძენილია ლაბორატორიისათვის საჭირო აღჭურვილობა და ქიმიური რეაქტივები; შრომის კაბინეტი გოგონებისათვის აღჭურვილია

საკერავი მანქანებით (აღნიშნულ კაბინეტში შრომის მასწავლებლისა და მოსწავლეების აქტიური მონაწილეობით შეიქმნა სასკოლო ფორმები);

მომავალში შენობის 0 სართულზე იგეგმება შრომის კაბინეტის მოწყობა ვაჟებისათვის, სადაც მათ შეასწავლიან ხატწერასა და ხეზე კვეთას.

სკოლას აქვს 16 კომპიუტერი შემდეგი ტექნიკური მონაცემებით: ოპერატიული სიჩქარე 2,19 GHz, ოპერატიული მეხსიერება 1,0 GB (12 ერთეული გამოიყენება სასწავლო პროცესში, ხოლო 4 სკოლის მართვაში); 1 პრინტერი. სკოლაში არის კომპიუტერული კაბინეტი, სადაც განთავსებულია შიდა და ინტერნეტ ქსელში ჩართული 12 კომპიუტერი;

სასკოლო გეგმით გათვალისწინებულია საღვთო სჯულის სწავლება, რისთვისაც სკოლას აქვს სამლოცველო, მოძღვრის ოთახი და შესაბამისი ლიტერატურა.

1.1.3 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, შესაბამისი გასახდელებით. დარბაზში დგას შვედური კედელი, ჩოგბურთის მაგიდა, ჭიდაობისათვის საჭირო ლეიბები, ტანვარჯიშისათვის აუცილებელი ინვენტარი, ჭადრაკისა და შაშის დაფები, ეზოში მოწყობილია კალათბურთის მოედანი.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ როგორც უძრავი ქონების, ისე სხვა მატერიალური ბაზის ფლობის პრობლემა დაწესებულების წინაშე არ დგას, შესაბამისად დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.“

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი გარემო, კერძოდ: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა; კეთილმოწყობილი

სველი წერტილები; თანამედროვე სტანდარტებით გარემონტებული ნათელი ოთახები; ცენტრალიზებული გათბობის სისტემა.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით.“

3.1 ავტორიზაციის ექსპერტა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტა დასკვნის მიხედვით, სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურისათვის გათვალისწინებული სახელმძღვანელოებითა და სხვა დამხმარე საკითხავი ლიტერატურით. წიგნადი ფონდი გატარებულია საინვენტარო წიგნში, მოწესრიგებულია ანბანური კატალოგით, არსებობს კარტოთეკები და მკითხველის ფორმულარები. ბიბლიოთეკაში არის სპეციალური ჟურნალი, რომელშიც აღირიცხება ბიბლიოთეკით მოსარგებლე მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობა. სკოლაში გაფორმებულია ხელშეკრულება 20 დასახელების პერიოდულ გამოცემაზე.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას ამჟამად არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, თუმცა კიბეებზე დამონტაჟებულია პანდუსები, ხოლო შენობის პირველ სართულზე არის საკლასო ოთახი სპეციალური საჭიროების მოსწავლეებისათვის.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.“

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას აქვს ფიქსირებული სატელოფონო მომსახურება, საკუთარი ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა. ვებგვერდი შეიქმნა 2011 წლის 3 იანვარს, მასზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ და მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის ერთწლიანი და ექვსწლიანი განვითარების გეგმები; მიმდინარეობს ვებგვერდის თემატურად დატვირთვა.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

- ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.”

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ა) სპეციალურ დაფაზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ბ) შენობის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით სპეციალური, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი საექიმო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექიმი.
- დ) რაც შეეხება წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს, ავტორიზაციის მაძიებლის განმარტებით, ეს საკითხი უზრუნველყოფილია სკოლის მოძღვრის, დიაკონის, მშობლებისა და კლასის ხელმძღვანელების დახმარებით.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები.”

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი, 2009 წლის 19 ოქტომბერს დარეგისტრირებული წესდება, 2010 წლის 14 სექტემბერს პედაგოგთა სხდომაზე განხილული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი. თითოეულ კლასში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია მოსწავლის ეთიკის კოდექსი, გაკვეთილების ცხრილი, კლასის დამრიგებლის, მოსწავლისა და მშობლის მორიგეობის განრიგი. შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, სკოლის დერეფანში.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.“

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი მიმდინარე და სამომავლო გეგმები და მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.“

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, კერძოდ:

ა) სკოლის დირექტორის ბრძანებები აკინძულია საქაღალდეში, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქულია, აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა.

ბ) სკოლიდან გასული და შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქულია, აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა.

გ) მოსწავლეთა ანბანური წიგნი შევსებულია ანბანურად, მითითებულია მოსწავლის დაბადებისა და სკოლაში შემოსვლის თარიღები, კლასი, ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და პირადი საქმის ნომერი, აღნიშნული წიგნი აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქულია, აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა.

დ) პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმების წიგნი აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქულია, აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.“

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. დღეისათვის სკოლაში მუშაობს 35 მასწავლებელი, რომელთა განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ბ“

ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.“

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლის პედაგოგიური კოლექტივი შეირჩა გასაუბრების წესით. გასაუბრების ჩატარების დრო, ადგილი, პირობები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა დამტკიცებული იყო დირექტორის ბრძანებით. გასაუბრებაში მონაწილეობა მიიღო 135-მა მასწავლებელმა, რომელთაგანც ”ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა“ და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შეირჩა და ხელშეკრულება გაუფორმდა 35 მასწავლებელს. გასაუბრების შედეგები დამტკიცებული იქნა დირექტორის ბრძანებით.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა.“

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლის თანამშრომლები სკოლაში მიიღებიან პირადი განცხადებისა და გასაუბრების საფუძველზე, ხოლო გათავისუფლებას წინ უსწრებს ზეპირი და წერილობითი გაფრთხილება; პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, საბოლოო გადაწყვეტილებას თანამშრომლის გათავისუფლების თაობაზე იღებს სამსახურიდან დათხოვნის კომიტეტი.

რაც შეეხება წახალისების მექანიზმებს, ხორციელდება დირექტორის ბრძანებით ან ფულადი პრემიის სახით.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც დამოწმებულია დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით. ყველა ხელშეკრულებაში მითითებულია დასაქმებულის თანამდებობა, თანამდებობრივი განაკვეთი, სახელფასო განაკვეთი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ა.შ.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.“

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში არსებობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, რომლებიც შემუშავდა სკოლის მასწავლებლების ჩართულობით და დამტკიცდა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.“

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. სკოლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა საშუალებას იძლევა მასწავლებელმა, მოსწავლემ და კოლექტივის ნებისმიერმა წევრმა თავი დაცულად იგრძნოს. რაც შეეხება თანამშრომლობის ატმოსფეროს, სასკოლო სასწავლო გეგმაში სასურველია გაწერილი იყოს მექანიზმები, სადაც ასახული იქნება იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლებიც უზრუნველყოფენ გამოცდილებების გაზიარების, ურთიერთსწავლებისა და ურთიერთპატივისცემის კულტურის დამკვიდრებას. (მაგალითად, ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრებისა და ურთიერთშეფასების ჩანაწერები, ინტეგრირებული გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა მიზნებითა და გაწერილი აქტივობებით და სხვა).

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - „წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების საკითხი და მოსწავლეთა რაოდენობის 274-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

VI. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართმადიდებლურ სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და განესაზღვროს მოსწავლეთა რაოდენობა 274-ით.

3. შპს - საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს რევაზ ხოფერიას სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით მოხსენების გაკეთება. რევაზ ხოფერიამ დამსწრე პირებს გააცნო, რომ შპს - საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივმა კოლეჯმა, საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოპოვების მიზნით, 2010 წლის 31 დეკემბერს მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით და თანდართული დოკუმენტაციით (წერილი №3/165, ცენტრში რეგისტრაციის №03-5857). ცენტრის მიერ 2011 წლის 3 იანვრის N04-05 წერილით დადგინდა ხარვეზი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან საავტორიზაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის შეუსაბამობის გამო. 2011 წლის 5 იანვარს ცენტრში შემოვიდა დაწესებულების N01 (ცენტრში რეგისტრაციის N03-58) წერილი ხარვეზის გამოსწორების თაობაზე, ხოლო 2011 წლის 6 იანვარს - N3/2 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის N03-101), რომელშიც აღნიშნულია, რომ 2011 წლის 5 იანვრის N01 წერილზე თანდართული თვითშეფასების კითხვარის მე-17 გვერდზე დაშვებულია შეცდომა და შევსების თარიღად ნაცვლად 2010 წლის 31 დეკემბრისა მითითებული უნდა იყოს 2011 წლის 5 იანვარი. აღნიშნული წერილებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად, დადგენილი ხარვეზი გამოსწორებულია. კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების შევსებული კითხვარი, შპს - საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის წესდება და ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 6 იანვრის №06/ა ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად და მისი ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორცილდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, ექსპერტთა ჯგუფის წევრმა სალომე ფრუიძემ, დეტალურად გააცნო საბჭოს წევრებს დასკვნაში აღნიშნული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელზეც არსებობდა შენიშვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ოქმში სრულად ასახვის მიზნით ითხოვა სხდომის მდივნისათვის გადაეცათ ექსპერტთა დასკვნის ასლი.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

1.1.1 შპს „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის“ მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
	სარკინიგზო გადამზიდავი	I	სარკინიგზო გადამზიდავი	20
		II	შესაბამისი საფეხურის	20
		III	მითითებით	20
		IV		60
		V		60
	რკინიგზის ელექტრომოდრავი	I	რკინიგზის	15
	შემადგენლობის მეურნეობის	II	ელექტრომოდრავი	15

ელექტრომექანიკოსი	III	შემადგენლობის	30
	IV	მეურნეობის	60
	V	ელექტრომექანიკოსი შესაბამისი საფეხურის მითითებით	60
მელიანდაგე	I	მელიანდაგე შესაბამისი	15
	II	საფეხურის მითითებით	15
	III		30
	IV		60
	V		60
რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი	I	რკინიგზის	15
	II	ელექტრომომარაგების	15
	III	მეურნეობის	30
	IV	ელექტრომექანიკოსი	60
	V	შესაბამისი საფეხურის მითითებით	60
სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკოსი	I	სიგნალიზაციის,	15
	II	ცენტრალიზაციისა და	15
	III	ბლოკირების	30
	IV	ელექტრომექანიკოსი	60
	V	შესაბამისი საფეხურის მითითებით	60
სავაგონო მეურნეობის მექანიკოსი	I	სავაგონო მეურნეობის	15
	II	მექანიკოსი შესაბამისი	15
	III	საფეხურის მითითებით	30
	IV		60
	V		60

1.1.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია შპს „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის“ დირექტორის 2010 წლის 31 დეკემბრის №178 ბრძანებით. დირექტორის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება ასახულია დირექტორის 2010

წლის 30 დეკემბრის №177 ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში.

1.1.3 ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა დაწესებულების დირექტორის 2010 წლის 5 იანვრის №2 ბრძანება „მოდულიზებული პროგრამების დამტკიცების შესახებ“ და ამ ბრძანების შესაბამისად მოდიფიცირებული რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსისა და სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკოსის ხუთივე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

1.1.4 თითოეული საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები.

1.1.5 პროგრამებს აქვთ ერთგვაროვანი (16 პუნქტიანი), თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შემდეგ პუნქტებს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული განათლების საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო გეგმა (თითოეული სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების აღნიშვნით), პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა), პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება (შეფასების სახეები, ფორმა, მეთოდი), სწავლების მეთოდები, ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ, ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ, საწარმოო პრაქტიკა, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

1.1.6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად.

1.1.7 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ერთიანი წესი შემუშავებულია დაწესებულების დირექტორის 2010 წლის 31 დეკემბრის №216 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით“, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121 /ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“. სტუდენტთა შეფასების ერთიანი წესი ასახულია ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში.

1.1.8 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად წარმოდგენილ იქნა შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები). მათი სტრუქტურა ერთგვაროვანია და მოიცავს ინფორმაციას სასწავლო კურსის სტატუსის (სავალდებულო ან არჩევითი), ხანგრძლივობის, განმახორციელებელი მასწავლებლის, სასწავლო კურსის ფორმატის, მიზნის, შესწავლის წინაპირობების, ლექციის, პრაქტიკული მეცადინეობის ან პრაქტიკის დროს შესასწავლი საკითხების, შეფასების წესის, სავალდებულო ლიტერატურისა და სწავლის შედეგების შესახებ. ზოგიერთი სასწავლო კურსი (მაგალითად, მენეჯმენტი რკინიგზის ტრანსპორტზე) შემოთავაზებულია სხვადასხვა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, რის შესაბამისადაც განსხვავდება ამ სასწავლო კურსის შინაარსი და შესასწავლი საკითხების მოცულობა. თუმცა, მიზანშეწონილია, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს განსხვავება ამ სასწავლო კურსების მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის.

1.1.9 ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა დაწესებულების მიერ შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლითაც შპს „საქართველოს რკინიგზა“ იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს დაწესებულების წინასწარ შეთანხმებული რაოდენობის სტუდენტების მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლა.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს წევრმა, ლალი ლოდელიანმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს ის ფაქტი, რომ დაწესებულებაში მუშაობს პროფესიონალთა გუნდი, ასევე ის გარემოება, რომ საგანმანათლებლო პროგრამები სრულყოფილადაა შედგენილი.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების,

შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2010 წლის 31 დეკემბრის №216 ბრძანებით (იხ. დანართი №3). მასში მოცემულია დაწესებულების ისტორია, მის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათი მიზნები, მოცულობა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, აგრეთვე პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის სწავლის შედეგები „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. წარმოდგენილ იქნა აგრეთვე თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების აღმწერების ამსახველი დოკუმენტი.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს”.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 დასკვნის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები გაწერილია პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად - 6 კატეგორიის მიხედვით. სწავლის შედეგების პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სწავლის შედეგებში არ არის მკაფიოდ გამოიჯნული ცოდნა და გაცნობიერება. მიზანშეწონილია, ზუსტად და გასაგებად გამოიკვეთოს გაცნობიერებისა და ღირებულებების კომპონენტების შინაარსი სხვადასხვა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

3.1.2 მე -5 საფეხურის სარკინიგზო გადამზიდვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში თეორიისა და პრაქტიკის კომპონენტებს შორის თანაფარდობა არის 70%-30% (60 კრედიტიდან: 42 -

სასწავლო კომპონენტისათვის, 18 - პრაქტიკის კომპონენტისათვის), რაც არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს (თუმცა ამით აღნიშნული პროგრამა შესაბამისობაშია სარკინიგზო გადამზიდვის პროფესიულ სტანდარტთან, რომელიც ადგენს ანალოგიურ თანაფარდობას).

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო არ მიიჩნევს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნის დარღვევად იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებში არ არის მკაფიოდ გამოჩენილი ცოდნა და გაცნობიერება. ასევე, ავტორიზაციის საბჭომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სტანდარტი მოგვიანებით არის დამტკიცებული, ასევე, დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ვალდებულება ჰქონდა, აღნიშნული შენიშვნის განხილვა უნდა მოხსნას. შესაბამისად, დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2010 წლის 19 ნოემბრის №157 ბრძანებით.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულების წარმომადგენლის, ბატონ თენგიზ მაღლაკელიძის ზეპირი განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში არსებობს შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, კერძოდ, დაწესებულებამ 2010 წლის მაისში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რომლის თანახმად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მიიღებს დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებს, დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში.

მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეთა თანამშრომლობას კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში სამეცნიერო, სასწავლო პროგრამების განხორციელებაში არსებული გამოცდილების, პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარებისათვის (პირველი პუნქტი) მხარეები თანხმდებიან, მოახდინონ პროფესიული განათლების პროგრამების ურთიერთგაცვლა (მე-2 პუნქტი).

რაც შეეხება დაწესებულების შიგნით რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევას, დაწესებულების წარმომადგენლის ზეპირი განმარტებით, პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, ისარგებლოს შიდა მობილობით და სწავლა გააგრძელოს რომელიმე მომიჯნავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. შიდა მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესები კი გაწერილია დირექტორის №157 ბრძანებაში.

ზეპირ მოსმენაზე გამოიკვია, რომ დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა არსებობს ამავე პროგრამის განხორციელებელი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების ჰარმონიზაციას.

სხდომაზე მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ არსებობს შიდა მობილობის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და შესაძლებლობას იძლევა პროგრამის გაუქმების

შემთხვევაში სტუდენტმა სწავლა გააგრძელოს ამავე დაწესებულებაში მოქმედ სხვა მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამაზე.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წარუდგინა დაწესებულების დირექტორის 2010 წლის 31 დეკემბრის №220 ბრძანება „სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მოთხოვნებიდან გამომდინარე სტუდენტთა და პედაგოგთა ანკეტური გამოკითხვის ჩატარების შესახებ“. ბრძანებით განათლების ხარისხისა და პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ევალება სტუდენტებისა და პედაგოგების პერიოდული, მინიმუმ ყოველსემესტრული გამოკითხვების ორგანიზება, შედეგების განხილვა-გაანალიზება და სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის გამოყენება. წარმომადგენელ იქნა აგრეთვე ამავე ბრძანებით დამტკიცებული სტუდენტთა და პედაგოგთა გამოკითხვის ანკეტის ფორმები. ანკეტა შეიცავს შეკითხვებს დაწესებულებაში სწავლების ორგანიზების საკითხებთან, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამებთან და ცალკეულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლის სიტყვიერი განმარტებით, ამ გამოკითხვების შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების შემდგომი მოდიფიცირებისა და სრულყოფისათვის.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებკონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;

ა.ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი”.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1.1 დასკვნის მიხედვით, შპს „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივ კოლეჯს“ საკუთრებაში აქვს:

ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირის №138-ში 3809,20 კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობა;

ქ. სამტრედიაში ვაჟა-ფშაველას ქ. №27-ში მდებარე შენობა-ნაგებობა, რომლის განაშენიანების ფართობი 627 კვ.მ. ეს შენობა არის ორ სართულიანი, მაგრამ მისი საერთო ფართი საჯარო რეესტრის ამონაწერიდან არ ჩანს. შენობის ვიზუალური დათვალიერებით და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ტექნიკური ნახაზებით დადგინდა, რომ შენობის საერთო ფართი არის 1089.46 კვ.მ.

მიზანშეწონილია, თბილისში მდებარე შენობაში განთავსებულ ოთახებს ჩაუტარდეს კოსმეტიკური რემონტი.

ქ. სამტრედიაში არსებული ორ სართულიანი შენობა საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს, მათ შორის, იატაკის დაგებას.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი №138	3809.20
2	ქ. სამტრედია ვაჟა-ფშაველას ქ. №8	1089.46

--	--	--

ქ. თბილისში შპს „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯს“, დავით აღმაშენებლის გამზ. №138-ში მდებარე შენობაში დაკავებული აქვს 3809.20 კვ.მ. ფართი, საიდანაც სასწავლო ფართის საერთო ოდენობა შეადგენს 1785,24კვ.მ-ს (აუდიტორიები, ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა, პროფესორ-მასწავლებელთა სამუშაო ოთახები).

სასწავლო ფართი სართულების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად: სარდაფი - 118,67კვ.მ., პირველი სართული - 219,16კვ.მ., მეორე სართული - 374,07კვ.მ., მესამე სართული - 544,01კვ.მ., მეოთხე სართული - 529,33კვ.მ.

აღნიშნულ მისამართზე არსებული დამხმარე მიწნებისთვის განკუთვნილი ფართის ოდენობაა - 2023, 94კვ.მ.

ქ. სამტრედიაში შპს „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის“ მიერ დაკავებული 1089,46 კვ.მ. ფართიდან სტუდენტებისათვის განკუთვნილ სასწავლო ფართად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ 691,81 კვ.მ. ხოლო დამხმარე ფართად - 397,65 კვ.მ.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით გამოირკვა, რომ სამტრედიაში არსებულ შენობაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩასატარებელია სარემონტო სამუშაოები, შესაძლებელია სწავლების განხორციელება. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გამოყოფილია თანხა 10000 ლარის ოდენობით, რომელიც გაიხარჯება სამტრედიაში მდებარე შენობის გარემონტების მიზნით.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ როგორც უძრავი ქონების, ისე სხვა მატერიალური ბაზის ფლობის პრობლემა დაწესებულების წინაშე არ დგას. ასევე საბჭო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სამტრედია წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს სარკინიგზო კვანძს საქართველოში და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ამ პროფილის სპეციალისტების მომზადება ადგილზე, როგორც რეგიონალური განვითარების თვალსაზრისით, ისე დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ბ“

ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ქ. თბილისში, სასწავლო ფართი უზრუნველყოფილია: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემით, სველი წერტილებით, ბუნებრივი და ელექტრო განათების შესაძლებლობებით. შენობებში არაა გათბობის ერთიანი სისტემა. შენობაში განთავსებული აუდიტორიები, საპროფესოროები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახები თბება ელექტროქურებით.

ქ. სამტრედიაში სასწავლო ფართი უზრუნველყოფილია: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემით; ბუნებრივი და ელექტრო განათების შესაძლებლობებით. შენობა თბება ელექტრო ქურებით, სველი წერტილები საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას”.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, თბილისში ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი არის - 8473 ეგზემპლარი, ვიზიტის დროს შერჩევის გზით გადამოწმდა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის შესაბამისობა საბიბლიოთეკო ფონდთან, რითაც დადგინდა, რომ საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი შეესაბამება სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას.

ქ.სამტრედიაში, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს - 10295 ერთეულს. საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი შეესაბამება სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

შპს „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯში“ ვიზუალური გადამოწმებისას ორივე მისამართზე აღმოჩნდა 30 კომპიუტერი, აღნიშნული კომპიუტერებიდან 14 ჩართულია ინტერნეტში.

აღნიშნულიდან:

ერთი კომპიუტერის საკუთრებაში არსებობდა დასტურდება წარმოდგენილი ანგარიშვაქტურით;

11 კომპიუტერის საკუთრებაში ფლობა დასტურდება - შპს „საქართველოს რკინიგზის“ 2008 წლის 1 აგვისტოს #5/25 დადგენილების საფუძველზე, შპს „საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯისთვის“ (ამჟამად შპს „საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯი) გადასაცემი ქონების ჩამონათვალით (მიღება-ჩაბარების აქტი 06.11.2008), აუდიტორული დასკვნით (10.11.2008)

14 კომპიუტერთან დაკავშირებით კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება #2/30 (25.11.2010), რომლის თანახმად არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი“ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში წვლილის შეტანის მიზნით კოლეჯს უსასყიდლოდ გადასცემს 14 კომპიუტერს და სხვა კომპიუტერულ ტექნიკას. ხელშეკრულებას თან ერთვის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. კოლეჯის პასუხისმგებელი პირის განცხადებით, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაში აქ ნაგულისხმევია არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის“ თანამშრომელების ჩართვა კოლეჯის საგანმანათლებლო პროცესში.

დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა ცნობა, სადაც აღწერილია კომპიუტერთა შესახებ ინფორმაცია 2011 წლის 12 იანვრის მდგომარეობით, კერძოდ: ბალანსზე აღრიცხული კომპიუტერები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცნობის შესაბამისად, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის“ მიერ გადაცემული კომპიუტერები არ არის ბალანსზე აღრიცხული და მითითებულია, რომ ისინი

აღრიცხებიან კაპიტალში და 2010 წლის ბალანსზე, 2011 წლის დასაწყისში. დაწესებულების მიერ არ იყო წარმოდგენილი რაიმე ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდებოდა ამ კომპიუტერების დაწესებულების ძირითად საშუალებებში არსებობა.

სამ კომპიუტერთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა მიღება-ჩაბარების აქტი, თუმცა გაურკვეველია ქონების გადაცემის სამართლებრივი საფუძველი.

დაწესებულებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სასწავლო პროცესში გამოიყენება. თითოეული საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კურსი, რომლებსაც სხვადასხვა საფეხურის პროგრამებში დათმობილი აქვთ 1-2 კრედიტი.

დაწესებულების მართვაში, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება გასული კორესპონდენციების და შიდა ადმინისტრაციული აქტების გამოცემისას ტექსტების ასაკრეფად.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა”.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დაწესებულებაში მიმდინარეობს შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა. წარმოდგენილია აკინძული და დალუქული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი.

დაწესებულებაში წარმოებს დირექტორის ბრძანებების აღრიცხვა და რეგისტრაცია ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალში.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „აწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია შპს „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივ კოლეჯის“ დირექტორის 2010 წლის 19 ნოემბრის №158 ბრძანებაში სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ თანამდებობრივ ინსტრუქციებში. წესრიგის დაცვის მექანიზმები ასახულია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ შინაგანაწესსა და თანაშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებში.

ქ. თბილისში არსებული შენობის თითოეულ სართულზე განთავსებულია სტენდი, რომელშიც მოთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლჩაქრობი ბალონი. ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. კოლეჯს ემსახურება მედდა, ერთი საშტატო ერთეულით, აქვთ კეთილმოწყობილი სამედიცინო ოთახი;

ქ. სამტრედიის მდებარე შენობაში არ არსებობს ევაკუაციის გეგმა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. შენობაში არ არის სამედიცინო ოთახი.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში არსებობდა როგორც ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ასევე ევაკუაციის გეგმა, რომელიც არ იყო განთავსებული თვალსაჩინო ადგილას, რაც დაუყოვნებლივ გამოსწორდა.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, ვინაიდან ზეპირ მოსმენაზე დადასტურდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარისა და ევაკუაციის გეგმის ფლობის ფაქტი. ასევე საბჭომ მიიჩნია, რომ სტანდარტი არ ითვალისწინებს ყველა შენობაში სამედიცინო ოთახის არსებობას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის“.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ქ. თბილისში მდებარე შენობაში დაწესებულებას აქვს მოწყობილი პანდუსები.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი“.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

შპს „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის“ ვებგვერდის მისამართია (www.stupk.edu.ge).

ვებგვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, დაწესებულების სტრუქტურა, წესდება, შინაგანაწესი, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების და მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესახებ, პერსონალის თობაზე. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად. ვებგვერდზე ასევე განთავსებულია ინფორმაცია უმაღლესი პროფესიული და სახელობო განათლების პროგრამების თაობაზე, რომელსაც დაწესებულება ახორციელებს მიღევად რეჟიმში.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს“.

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა 2010 წლის 31 დეკემბრის №219 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განვითარების მოკლევადიანი (ერთწლიანი) და გრძელვადიანი (ექვსი წელი) სამოქმედო გეგმა. გეგმაში სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ აქტივობებთან ერთად ასევე ასახულია მატერიალური რესურსის გამოყენების და გაუმჯობესების მექანიზმები

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია დაკავებული თანამდებობების შესაბამისია.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ ერთი მასწავლებელი”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების და პროგრამის განმანხორციელებელი მასწავლებლების დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ.

51 პედაგოგი, 507 სტუდენტი.

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანფარდობაა 10:1.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით”.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების - საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 1625-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

VI. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯს“ მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების - საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი და განესაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 1625-ით.

4. შპს - „პროფიუნტი“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს რევაზ ხოფერიას სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით მოხსენების გაკეთება. რევაზ ხოფერიამ დამსწრე პირებს გააცნო, რომ შპს „პროფიუნტი“, საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოპოვების მიზნით, 2011 წლის 6 იანვარს მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით და თანდართული დოკუმენტაციით (№01/11 წერილით ცენტრში რეგისტრაციის №03 -92). დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების შევსებული კითხვარი, შპს - „პროფიუნტი“ წესდება და ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 6 იანვრის №05/ა ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მამიებლად და მისი ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორცილდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში არანაირი ხარვეზი არ დაფიქსირდა დაწესებულებაში, შესაბამისად ექსპერტთა დასკვნაში შენიშვნები არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ოქმში სრულად ასახვის მიზნით ითხოვა სხდომის მდივნისათვის გადაეცათ ექსპერტთა დასკვნის ასლი.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

1.1.1 დაწესებულებას დამტკიცებული აქვს (დირექტორის 2011 წლის 6 იანვრის ბრძანება #03/11) შვიდი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა. წარმოდგენილ იქნა პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგნის სრულყოფილი სილაბუსი.

1.1.2 პროგრამების საერთო მოცულობის თითქმის ნახევარი გაწერილია პროფესიულ პრაქტიკაზე, რომლის განხორციელება რეგულირდება დაწესებულების მიერ შემუშავებული პრაქტიკის დებულებით, პრაქტიკის გავლის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტთან და შპს „ალვიანთან“ (გვირაბმშენი საწარმო).

1.1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	გვირაბგამყვანი	მეორე	მეორე საფეხურის გვირაბგამყვანი	20
2	გვირაბგამყვანი	მესამე	მესამე საფეხურის გვირაბგამყვანი	40
3	გვირაბგამყვანი	მეოთხე	მეოთხე საფეხურის გვირაბგამყვანი	60
4	გვირაბგამყვანი	მეხუთე	მეხუთე საფეხურის	60

			გვირაბგამყვანი	
5	მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგი	მესამე	მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის მესამე საფეხურის სპეციალისტი	40
6	მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგია	მეოთხე	მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის მეოთხე საფეხურის სპეციალისტი	60
7	მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგია	მეხუთე	მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის მეხუთე საფეხურის სპეციალისტი	60

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ბ“

ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას აქვს შემუშავებული კატალოგი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შეფასების წესის, სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ, მოცემულია სასწავლო გეგმები კრედიტებისა და საათების განაწილებით, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები, დასაქმების სფეროები.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, „ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს”.

3.1. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონთან.

3.2. ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „დ”

ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები”.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც აღწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ე” ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები”.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ვ” ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის შეფასება შინაგანაწესით ევალება დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში. ჯერჯერობით დაწესებულებას ახალი დაწყებული აქვს ფუნქციონირება და შეფასების პროცესიც არ განუხორციელებია, თუმცა შინაგანაწესში მოკლედ გაწერილი აქვს პროგრამების ხარისხის მონიტორინგის შესაძლო ფორმები: სტუდენტთა გამოკითხვა, სასწავლო პრაქტიკის გავლის პერიოდში პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოკითხვა პროფესიული სტუდენტების მიერ ათვისებული განათლების ხარისხისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების შესახებ, დამსაქმებელის გამოკითხვა. აღნიშნულის საფუძველზე იკვლევს მის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობას, ახდენს პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღებული განათლების ხარისხის განსაზღვრას და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაციას განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებკონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;

ა.ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი”.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დაწესებულების საკუთრებაშია ოთხსართულიანი შენობა.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ. ჭიათურა, თხელიძის ქ. №29	3570,8

შპს „პროფიუნიტს“ საკუთრებაში არსებული 4 სართულიანი შენობის მხოლოდ 1 და 2 სართულები (საერთო ფართი 1029.92 კვ.მ., მათ შორის სასწავლო - 602 კვ.მ) აქვს გარემონტებული და აღჭურვილი სათანადო ინვენტარით: კეთილმოწყობილია აუდიტორიები, შესაბამისი დანადგარებითაა აღჭურვილი სამთო ტექნოლოგიებისა და გეოლოგიის კაბინეტები, კომპიუტერულ კლასში დგას 9 თანამედროვე კომპიუტერი.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ როგორც უძრავი ქონების, ისე სხვა მატერიალური ბაზის ფლობის პრობლემა დაწესებულების წინაშე არ დგას. ასევე საბჭო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სამტრედია წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს სარკინიგზო კვანძს საქართველოში და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ამ პროფილის სპეციალისტების მომზადება ადგილზე, როგორც რეგიონალური განვითარების თვალსაზრისით, ისე დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება, კეთილმოწყობილია 6 სველი წერტილი, შენობა აგებულია დერეფნული სისტემით, ორივე მხარეს ჩასმულია ახალი მეტალოპლასტმასის ფანჯრები, რაც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას, ყველა ოთახში დამონტაჟებულია გაზის ინდივიდუალური გამათბობლები.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, ბიბლიოთეკაში აღრიცხულია სულ 2967 წიგნი, ბიბლიოთეკა მოწესრიგებულია საბიბლიოთეკო პრინციპით, არსებობს წიგნების რეგისტრაციის საინვენტარო ჟურნალი, მკითხველთა და პროფესორ-მასწავლებელთა ბარათები და ანბანური კატალოგი. წიგნები თაროზე განლაგებულია თემატურად.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა დაცულია ბიბლიოთეკაში.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დაწესებულებაში არის შიგა კომპიუტერული ქსელი, ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში, დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი და ელექტრონული ფოსტა.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა”.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დაწესებულებაში არსებობს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის შესაბამისადაც მიმდინარეობს: რექტორის სამართლებრივი აქტების - ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი და წიგნის, გასული და შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალის, ხელშეკრულებების ჟურნალის აღრიცხვა. ჟურნალები ზონარგაყრილი და დალუქულია.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ვ” ქვეპუნქტის თანახმად, „ აწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დაწესებულებაში არის 1 ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი, 2 დიდი და 2 პატარა ცეცხლმაქრი; ორივე გარემონტებულ სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა; დაწესებულებაში არსებობს პირველადი დახმარების ავთიაქი, საჭირო მედიკამენტებით; წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს 3 დარაჯი და ასევე სართულის მორიგეები.

ადგილას, რაც დაუყოვნებლივ გამოსწორდა.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის“.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

კიბის უჯრედებში განთავსებულია ინვალიდთა ეტლის გადასაადგილებელი მეტალის სპეციალური რელსები (პანდუსები).

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი“.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ვებ-გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ისტორია, სტრუქტურა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ინფორმაცია ფაკულტეტების, პერსონალის, სტუდენტების, ბიბლიოთეკის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს“.

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. სამოქმედო გეგმების მიხედვით დაწესებულებას განზრახული აქვს კონკრეტული ამოცანების განხორციელება საქმიანობის შემდეგ მიმართულებებში:

1. სასწავლო პროცესი;
2. საბიბლიოთეკო საქმიანობა;
3. ინფრასტრუქტურა;
4. პროფესიული საგანმანათლებლო კავშირები;
5. კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა;
6. სოციალური საკითხები.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ ერთი მასწავლებელი“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, პროფესორები და მასწავლებლები შერჩეულია კონკურსის წესით, ყველა მათგანის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ წასაკითხ სალექციო კურსებს.

ამჟამად დაწესებულებაში არის სულ 45 სტუდენტი, რომლებიც 2010 წლის ზოგადი უნარების ეროვნული გამოცდების შედეგებით ჩაირიცხნენ „პროფიუნტის“ პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ახალ პროფესიულ ხუთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მიღება დაწესებულებას ჯერ არ განუხორციელებია.

პროფესორთა და მასწავლებელთა საერთო რაოდენობა არის 28, მათ შორის 4 სრული პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი და 20 მასწავლებელი.

ამდენად, თანაფარდობა სტუდენტსა და მასწავლებელს შორის არის: 45:28, ანუ 1,6:1

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დაწესებულებაში დაკავებული 21 პროფესორ-მასწავლებლიდან 19 შერჩეულია 2010 წლის 12 აგვისტოს ჩატარებული კონკურსის შედეგებით იმჟამად „პროფიუნიტში“ მოქმედი პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, ხოლო 2 მასწავლებელი დანიშნულია 2010 წლის 7 სექტემბრის №18¹ ბრძანებით, რვასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. კონკურსის ჩატარების პირობები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან, და ასევე არ ეწინააღმდეგება „პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ და დაწესებულების მიერ დადგენილ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ამრიგად, დაწესებულების მასწავლებელთა საერთო რაოდენობა არის 28, მათ შორის 4 სრული პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი და 20 მასწავლებელი. ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულებები და არსებობს დანიშვნის ბრძანებები.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „პროფიუნიტისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების - საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 481-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

VI. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს „პროფიუნიტს“ მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების - საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი და განესაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 481-ით.

5. შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვა

I. განხორციელებული პროცედურა

შპს - ევროპულ საერთაშორისო უნივერსიტეტმა 2010 წლის 29 ივნისს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში (უფლებამონაცვლე - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, შემდგომში - ცენტრი) შემოსული 2010 წლის 28 ივნისის №2658/10 (ცენტრში რეგისტრაციის №03-2196) წერილით წარმოადგინა თვითშეფასების ანგარიში. აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულების სახედ მითითებული იყო „უნივერსიტეტი“, თუმცა ანგარიშიდან ირკვეოდა, რომ დაწესებულება არ ახორციელებდა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. ცენტრის 2010 წლის 5 აგვისტოს № 04-2859 წერილით დაწესებულებას განემარტა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ¹⁸“ ქვეპუნქტის თანახმად, უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს და აქედან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არჩეული სახე და განსახორციელებელი პროგრამები არ იყო ერთმანეთთან შესაბამისობაში. დაწესებულებამ 2010 წლის 12 აგვისტოს №2954/10 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №03-2797) მომართა ცენტრს და მიუთითა, რომ თვითშეფასების ანგარიშში დაშვებული

იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა და დაწესებულების სახედ მითითებული უნდა ყოფილიყო „კოლეჯი“. ცენტრის 2010 წლის 16 აგვისტოს №04-3049 წერილით დაწესებულებას განემარტა, დაწესებულების სახელწოდებაში არ უნდა იყოს გამოყენებული შეცდომაში შემყვანი სიტყვა დაწესებულების სახესთან დაკავშირებით. ამიტომ, დაწესებულებას მიეთითა, რომ საჭირო იყო დაწესებულების სახესთან სახელწოდების შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნულის საპასუხოდ, 2010 წლის 19 აგვისტოს ცენტრში შემოვიდა დაწესებულების 2010 წლის 18 აგვისტოს №2974/10 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №03-2933), რომლითაც დაწესებულებამ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მუშაობა საგანმანათლებლო პროგრამებზე, რათა დაწესებულებამ განახორციელოს სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა და სამეცნიერო კვლევები. ამასთან დაწესებულებამ მიიჩნია, რომ სიტყვა „უნივერსიტეტი“ გამოყენებულია როგორც საფირმო სახელწოდების შემადგენელი ნაწილი და არ გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეს. 2010 წლის 30 ნოემბერს დაწესებულების მიერ 2010 წლის 29 ნოემბრის №3382/10 წერილიდან (ცენტრში რეგისტრაციის №03-4809) ირკვევა, რომ დაწესებულება აპირებს სახელწოდების შეცვლას და გადაკეთდება ევროპულ საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტად. ამასთან დაწესებულება აპირებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით 2010 წლის 16 და 17 ნოემბერს დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განახორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი შპს - ევროპულ საერთაშორისო უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგენილი ხარვეზების გამოსასწორებლად დაწესებულებას განესაზღვრა 15 დღის ვადა. აღნიშნულ ვადაში ცენტრს წარედგინა ხარვეზის გამოსწორების თაობაზე დოკუმენტაცია და აგრეთვე დაწესებულების წარმომადგენელმა ითხოვა დაისვა შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვა 2011 წლის აპრილის დასაწყისამდე გადადებულიყო.

II. დაწესებულების შუამდგომლობის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა სხდომაზე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგენილი ხარვეზების გამოსასწორებლად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიეცა 15 დღის ვადა. აღნიშნულ ვადაში დაწესებულებამ ყველა ხარვეზი გამოასწორა, თუმცა ვერ მოხერხდა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული ხარვეზის გამოსწორება, კერძოდ, დაწესებულებაში აკადემიური პერსონალის რაოდენობა იყო 9, მაშინ, როცა ავტორიზაციის დებულების მიხედვით, სასწავლო უნივერსიტეტში მინიმუმ 15 აკადემიური პერსონალი უნდა იყოს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისათვის აუცილებელი იყო კონკურსის ჩატარება, რაც შეუძლებელი იყო 15 დღის ვადაში განხორციელებულიყო, ამიტომ მან საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვის აპრილის დასაწყისისთვის გადადების თაობაზე.

საბჭო მიიჩნევს, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 15 დღიანი ვადა იყო გონივრული, რამდენადაც შესაძლებელი იყო ამ ვადაში ხარვეზის გამოსწორება. კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებში სწავლება მიმდინარეობდა მხოლოდ პროფესიულ პროგრამებზე, დაწესებულებას შეეძლო საკუთარი სტატუსი შესაბამისობაში მოეყვანა მისი, როგორც უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მიერ ფაქტობრივად განხორციელებულ საქმიანობასთან რა შემთხვევაშიც არსებული ადამიანური რესურსით ავტორიზაციის სტანდარტები დარღვეული აღარ იქნებოდა, რადგან 9 აკადემიური პერსონალი ადამიანური რესურსის სტანდარტს დააკმაყოფილებდა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საბჭომ გამოხატა კეთილი ნება და გადაწყვიტა განეხილა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი. დაწესებულების წარმომადგენელთა ინტერესის გათვალისწინებით კენჭისყრაზე დაისვა შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვის 2011 წლის 4 აპრილამდე გადადების, ადმინისტრაციული წარმოების შეჩერებისა და მისი 2011 წლის 4 აპრილს განახლების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, დამატებით ხარვეზის დამღვევისათვის გამოყოფილი ვადის განმავლობაში არსებობდა ხარვეზის გამოსწორების ორი ალტერნატივა. საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესაბამისობაში მოყვანა მათ მიერ ფაქტობრივად განხორციელებულ საგანმანათლებლო საქმიანობასთან ანუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის დადგენა ან აკადემიური პერსონალის რაოდენობის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას აგრეთვე განუმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რასაც დაეთანხმნენ შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი და იურისტი.

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

III. გადაწყვეტილება:

დაკმაყოფილდეს შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვა გადაიდოს 2011 წლის 4 აპრილამდე.

საბჭოს თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი



საბჭოს მდივანი
გაიანე სიმონია

